

K 8888  
1

# სანიტარული განვთლების გ ი გ ლ ი მ ი თ ე კ ე

22

6. ୧୯୮୦୧୨୩୮

## Ո. 3. ՅԱՅԼԹՅԱՆ ԹՐԱՎԵՐԿԵՐԸ

1949

ၬ. ၁၄၇၀၉၂၃၁



~~612~~  
512.  
42.409,

J 12

## Ա. 3. ՅԱՅԼՈՒՅՆ ԹՐԱՎԵՐԱԿԱՆ

+ 213.01 - }


一  
—



საქანონო

880/3060

1949



1849—1949

୦. ୩୦୩୩୦୩୦



## შინასიტყვაობა

1949 წლის სექტემბერში მთელი საბჭოთა ხალხი და მსოფლიო პროგრესული მეცნიერება ზეიმით აღნიშნავს უდიდესი რუსი მეცნიერის—ივანე პეტრესძე პავლოვის დაბადების ასი წლისთავს.

ი. პავლოვის ხანგრძლივი და მდიდარი მეცნიერული მოღვაწეობის სრული გაფურჩქვნა იწყება საბჭოთა პერიოდში. მისი გამოკვლევები საქმლის მონელების ფიზიოლოგიის და განსაკუთრებით უმაღლესი ნერვული მოქმედების დარგში, წარმოადგენს ეპოქალურ აღმოჩენას მსოფლიო ფიზიოლოგიურ მეცნიერებაში.

ი. პავლოვი ითვლება პირობითი რეფლექსების თეორიის და მეთოდის შემქმნელად; მისი მოძღვრებით მატერიალისტური საფუძველი ჩაეყარა უმაღლესი ფსიქიკური პროცესების გაგებას. მით მან ძირითად გაანადგურა მისტიკური, იდეალისტური შეხედულებანი ბუნების მეტყველებასა და ფსიქოლოგიაში.

ი. პავლოვის დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით გამოცემული ექიმ ს. აბშილავას ბროშურა, მეცნიერულ-პოპულარული ენით, მოკლედ, მაგრამ ნათლად გაღმოვცემს ზემოხსენებულ მოძღვრებას უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ და ავიწერს ამ უდიდესი მეცნიერის კლასიკურ ცდებს პირობითი რეფლექსების დარგში, რამაც მსოფლიო სახელი მოუპოვა როგორც მას, ისე რუსულ ფიზიოლოგიას.

მეცნ. დამს. შოღაწე, პროფ. პ. ქავთარაძე.

## 03აც პავლოვის მოძღვრება უმაღლესი ნორჩული მოქმედების უმსახებ

ჩვენი სამამულო მეცნიერება, კერძოდ კი ფიზიოლოგია, თავი-დანვე ხასიათდებოდა თავისი დამოუკიდებლობით და შემო-ქმედებითი ორიგინალობით. ის კი არ ბაძვდა, კვალდაკვალ კი არ მისდევდა უცხოეთის ფიზიოლოგიას, არამედ დამოუკი-დებლივ აყენებდა და სწყვეტდა უდიდეს ფიზიოლოგიურ პრობლე-მებს. ამის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს ჯერ კი-დევ რუსული ფიზიოლოგიის ნიადრევ საფეხურზე ივ. სეჩე-ნოვის შრომები. ივ. სეჩენოვმა მსოფლიო ფიზიოლოგიის ისტო-რიაში პირველმა გამოთქვა თავის დროისათვის უაღრესად გაბედუ-ლი, თანმიმდევრული მატერიალისტური აზრი, რომ ცხოველთა და ადამიანთა ფსიქიური მოქმედება შეიძლება გაგებულ იქნას ფიზიო-ლოგიური თვალსაზრისით, როგორც „თავის ტვინის რეფლექსები“.

ეს წმინდა თეორიული დებულება, წამოყენებული ივ. სეჩენო-ვის მიერ, თავის განვითარებას და ექსპერიმენტულ დადასტურებას პოულობს გენიოსი მეცნიერის ივანე პავლოვის მოძღვრებაში პა-რობითი რეფლექსების შესახებ.

პირობითი რეფლექსების მექანიზმების ეპოქალური აღმოჩენით გაიხსნა ახალი გზა თავის ტვინის ფუნქციებისა და უმაღლესი ნერ-ვული მოქმედების შესასწავლად. ამით იწყება ახალი ერა მსოფლიო ფიზიოლოგიურ მეცნიერებაში. ივ. პავლოვი გულისხმობდა რა ივ. სეჩენოვის უდიდეს მეცნიერულ დამსახურებას, კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ „დიდი ჰემისფეროების ფიზიოლოგია უსათუოდ მიეკუთვნება რუსულ გონებას“.

უდიდესია ჩვენი სამამულო ბუნებისმეტყველების ნოვატო-რული როლი ფიზიოლოგიის სხვა ისეთი დარგების შესწავლაშიც, როგორიცაა თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქის ბიოელე-ქტრული მოვლენები, ფიზიოლოგიური მოვლენების ფიზიო-ქიმი-ური კანონზომიერებანი, აგზების იონური თეორია, ფსიქოგალვა-

ნური რეფლექსი, შეკავების პროცესების ბუნებაზე ცენტრალური შეკავების რეალზაცია ქიმიური ფაქტორებით და ასე შემდგვე კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა იმის დასადასტურებლად, რომ ჩვენი სამაულო ბუნებისმეტყველების მიერ, არა ერთხელ იყო პირველად, დამოუკიდებლივ წამოყენებული და გადაჭრილი მეცნიერების უდიდესი პრობლემები.

რუსული ფიზიოლოგიის ეს კანონიერი დამსახურება კაცობრიობის წინაშე აღიარებულია მრავალი მოწინავე უცხოელი მეცნიერის მიერაც.


1935 წელს ფიზიოლოგების XV საერთაშორისო კონგრესზე ერთ-ერთი უცხოური დელეგაციის მეთაური. ამბობდა: „ვწუხვარ, რომ მე უკვე არა ვარ ახალგაზრდა; ასე რომ არ ყოფილიყო, ყოველი კანიკულების დროს ჩამოვიდოდი საბჭოთა კავშირში, რომ მესწავლა რუსი ფიზიოლოგებისაგან“.

\* \* \*

ბუნებისმეტყველების შეუჩერებელი სვლა—ამბობს პავლოვი—დაწყებული გალილეიდან, პირველად შეჩერდა ტვინის იმ უმაღლესი ნაწილის წინ, რომელიც წარმოადგენს გარეგან სამყაროსთან ცხოველის ურთულესი დამოკიდებულების ორგანოს; ეს იყო—დასხენს პავლოვი—ბუნებისმეტყველების კრიტიკული მომენტი, რადგან ტვინი, მისი უმაღლესი ფორმაციის—აღამიანის ტვინის სახით, ქმნიდა და ქმნის ბუნებისმეტყველებას, ხოლო ახლა კი თვით ხდება ამ ბუნებისმეტყველების შესწავლის ობიექტად.

თუ ბუნებისმეტყველების სხვა სფეროებში არსებობდა ზუსტი ობიექტური მეთოდები, დიდი ტვინის ფუნქციების და განსაკუთრებით ფსიქიური მოქმედების ასახსნელად, ასეთი დეტერმინაციის პრინციპებზე აგებული ობიექტური მეთოდების გამოყენება ბუნებისმეტყველებს პრინციპულად შეუძლებლად მიაჩნდათ. ფსიქიური მოქმედების ახსნის სფეროში ბატონობდა სუბიექტივიზმი და იდეალიზმი.

ბუნებისმეტყველები სულიერი და სხეულებრივი რიგის მოვლენებს იხილავდნენ ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად; მთლიანი მეცნიერული მიღვიმა აღამიანის შესწავლისადმი არ არსებობდა. იდეალისტი ფსიქოლოგები სოვლიდნენ, რომ აღამიანი,



როგორც სხეულებრივი არსება, ემორჩილება მატერიალური სამყაროს კანონებს, ხოლო როგორც სულიერი არსება, ის სდგას ადგინების გარეშე: „მიკროსკოპის ქვეშ სულს ვერ დაინახავ“, აი მათი ცნობილი ფორმულა.

მსოფლიო ფიზიოლოგებისა და ფსიქოლოგებისათვის საუკუნეების მანძილზე სხეულებრივი და სულიერი მოვლენების მეტაფიზიკური დაპირისპირების დაუძლეველი ზღუდე, პირველად გადალახულ იქნა დიდ რუს მეცნიერთა—ივ. სეჩენოვის და ივ. პავლოვის მიერ. ეს შემთხვევითი მოვლენა როდი იყო; მოწინავე რუსულ ბუნებისმეტყველებას უცხოეთის მეცნიერებისაგან დამოუკიდებლობის და ნოვატორული შემოქმედების გარდა, თავიდანვე ახასიათებდა ფეიზელი, რეალისტური შეხედულება სამყაროზე: ბუნების გაგება ისე, როგორც იგი არსებობს „ყოველგვარ უცხო დამატებათა გარეშე“.

რუსულ ბუნებისმეტყველების ამ მოწინავე, მატერიალისტურ ტრადიციების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა XIX საუკუნის რუსულმა კლასიკურმა ფილოსოფიამ, რომლის უდიდესი და ბრწყინვალე წარმომადგენლები: ჩერნიშევსკი, გერცენი, ბელინსკი, ღობროლიუბოვი, პისარევი—ანგითარებდნენ რა რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს, სასტიკად იბრძოდნენ სპეცულაციისა და იდეალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ მეცნიერებაში. ისინა ავრცელებდნენ და ნერგავლენ. მასებში მოწინავე ბუნებასმეტყველების მიღწევებს.

ამ სახელმოგან მატერიალისტურ ტრადიციებზე აღიზარდა ჩვენი სამამულო, პროგრესულ ბუნებისმეტყველთა მთელი პლეადა.

1863 წ. გამოდის ივ. სეჩენოვის კლასიკური ნარკვევი: „თავის ტვინის რეფლექსები“, ამ ნაშრომით სეჩენოვმა პირველად აღიარა, რომ რეფლექსური მოქმედება ახასიათებს ცენტრალური ნერვული სისტემის არა მარტო დაბალ ნაწილებს, არამედ მის უმაღლეს ნაწილებსაც, როგორიცაა დიდი ტვინის ჰემისფეროების ქერქი. მანამდე მთელი ქვეყნის მეცნიერები რეფლექსს სთვლიდნენ, უმთავრესად, ზურგის ტვინის მოქმედების ფორმად. ივ. სეჩენოვი კი ფსიქიკური მოქმედების და თვით აზროვნების საფუძვლად აღიარებს დიდი ტვინის ჰემისფეროების ქერქის რთულ რეფლექსურ პროცესებს: ტვინის მოქმედების უამრავი სახის გარეგან გამოვლინების საბოლოო ფაქტს—სეჩენოვის აზრით—წარმოადგენს კუნთოვანი მოძრაობა: „იცინის ბავშვი სათამაშოს დანახვაზე, თუ სამშობლოს

ჭარბი სიყვარულისათვის დევნილი გარიბალდი დღიმებზე, კი პკრთის  
ქალიშვილი სიყვარულზე პირველი ფიქრის გამო, თუ შემნის ნიუ  
ტონი მსოფლიო კანონებს და სწერს მათ ქალალდზე — ყველგან სა-  
ბოლოო ფაქტს კუნთოვანი მოძრაობა წარმოადგენს“ (ივ. სეჩენო-  
ვი — „თავის ტვინის რეფლექსები“, 1949 წ. გვ. 5).

ცნობიერების ორგანოს — თავის ტვინის შესასწავლად შესაძ-  
ლებელია ზუსტი ობიექტური, ფიზიოლოგიური მეთოდების გამო-  
ყენება, ვინაიდან რაც გიხდა რთული არ იყოს ცნობიერების აქტის  
ესა თუ ის გამოვლენა — სეჩენოვის აზრით — საბოლოო ჯამში მათ  
აქვთ მატერიალური, რეფლექსური საფუძველი. ამით სეჩენოვმა სა-  
ფუძველი ჩაუყარა მატერიალისტურ, მეცნიერულ ფსიქოლოგიას,  
ის ჭეშმარიტად ითვლება ფსიქოლოგიური მეცნიერების გარდამ-  
ქმნელად.

ივ. პავლოვის გენიალური მოძღვრება პირობითი რეფლექსე-  
ბის შესახებ იდეურად დაკავშირებულია სეჩენოვის სახელთან.

„ჩვენი გამოკვლევების გამოსავალ წერტილად, — ქმაყოფილე-  
ბით შენიშვნავს პავლოვი — მე მიმაჩნია 1863 წლის დასასრული, რო-  
დესაც გამოკვეყნდა სეჩენოვის ცნობილი ნარკვევი „თავის ტვინის  
რეფლექსები“. ივ. პავლოვი ამ ნარკვევს პირველად ეცნობა ჯერ კი-  
დევ ახალგაზრდა ასაჭმი „მედიცინსკი ვესტნიკ“-ის ფურცლებზე,  
ამით პავლოვის გონებაში პირველად მოიხაზა მომავალი საშეცნიე-  
რო გრანდიოზული სასახლის კონტურები.

ივ. სეჩენოვის ფორმით მიმზიდველმა და შინაარსით დამარწ-  
მუნებელმა ნარკვევებმა არამც თუ გაიტაცა ახალგაზრდა პავლოვი,  
არამც წინასწარ განსაზღვრა მისი მომავალი შემოქმედებითი გზე-  
ბი. უთურდ დაღებითი როლი ითამაშა პავლოვის მომავალ სამეცნი-  
ერო მუშაობაში სახელგანთქმულმა რუსმა კლინიცისტმა ბოტკინმა;  
სწორედ მის გავლენას უნდა მიეწეროს ის განსაკუთრებული ინტე-  
რესი „ნერვიზმისადმი“, რომელსაც იჩენდა პავლოვი მთელი თავისი  
ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში. „ნერვიზმის“ ქვეშ პავლოვი  
გულისხმობდა ცენტრალური ნერვული სისტემის უნივერსალურ  
გავლენას ორგანიზმში მიმღინარე პროცესებზე. ცენტრალური ნერ-  
ვული სისტემის ასეთი უნივერსალური როლის იღეა მან შემდეგში  
განავითარა ფიზიოლოგიის ყველა დარგში, ამ თვალსაზრისით სწავ-  
ლობს ის ჯერ კიდევ თავის მეცნიერულ მუშაობის ნაადრევ ეტაპზე  
სისხლის მიმოქცევის საკითხებს, ამ თვალსაზრისს თანმიმდევრობით  
ატარებდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში საჭმლის მონელების



და იშიოლოგიის შესწავლის სფეროშიც, სადაც მან შეისწავლა და დაადასტურა ნერვული სისტემის გავლენის ხასიათი და პირობები საჭმლის მონელების პროცესში. თვით პირობითი რეფლექსების მოძღვრებაც კი შეიძლება განვიხილოთ, როგორც პავლოვის „ნერვიზმის“ ლოგიკური გაგრძელება. ასეთი იყო დაახლოებით ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც ითამაშა არსებითი როლი პირობითი რეფლექსების მეთოდის აღმოჩენაში.

\* \* \*

ჯერ კიდევ პავლოვამდე დიდი წნით აღრე იყო ცნობილი, რომ თუ ძალს ვაწოდებთ საკვებს, მისი სანერწყვე ჯირკვლებიდან იწყება ნერწყვის გამოყოფა. აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა საკვების მიღებაზე გამოიყოფა სხვადასხვა რაოდენობის და სხვადასხვა ქიმიური შემაღვენლობის ნერწყვი. ეს არის ნერწყვის გამოყოფის თან-შობილი რეფლექსი. ფიზიოლოგიაში ასეთი რეფლექსის მექანიზმი ჯერ კიდევ პავლოვამდე იყო ცნობილი: პირში მოხვედრილი საჭმელი აღიზიანებს პირის ღრუს მგრძნობელი ნერვის დაბოლოებებს, აქედან გალიზიანება გადაეცემა პერიფერიიდან ცენტრისაკენ მიმავალი გზით—მოგრძო ტვინს, სადაც იმყოფება ნერწყვის გამოყოფის სარეგულაციო ცენტრო. აგზნება ამ ცენტროდან გადაეცემა ცენტრიდან პერიფერიისაკენ მიმავალი გზით—სანერწყვე ჯირკვლეს, ეს უკანასკნელი კი იწვევს ნერწყვის გამოყოფას. ეს არის უბრალო რეფლექსური აქტი; მისი გამოვლინებისათვის არ არის საჭირო არაგითარი სხვა პირობები გარდა ერთისა, სახელმობრ, საკვები მოხვდეს მშეორი ცხოველის პირში. ამიტომ თანმობილი რეფლექსი, პავლოვის ტერმინოლოგიით, იწოდება უპირობო რეფლექსი. ამ რეფლექსის შემსრულებელი აპარატები ცხოველებს და ადამიანებს უკვე დაბალებიდანვე აქვთ მოცემული მზა სახით. ცნობილი იყო აგრეთვე ის მოვლენაც, რომ ცხოველს ნერწყვი გამოიყოფა, არა მარტო საჭმლის პირში მოხვედრისას, არამედ მის დანახვაზე, სუნზე და სხვა.

ჩვეულებრივ, ლაპარაკი, ან გაფიქრება გემრიელ საჭმელზე, ლიმონზე, ბროწულზე და სხვა, იწვევს ნერწყვის გაძლიერებულ გამოყოფას. იმ შემთხვევებში; როდესაც ნერწყვის დენა იწყება არა ჭამის, არამედ მხოლოდ საჭმლის ჩვენების, ან მის სუნზე და სხვა, მიჩნეული იყო როგორც „ფსიქიკური ნერწყვის დენა“. ამ შემთხვე-

ვებში საჭმელი უშუალოდ კი არ აღიზიანებს პირის ლრეს, არამედ როგორც გამლიზიანებელი, მოქმედებს განძილიდან. თუ ნერწყვილ გამოყოფა, იმ დროს როდესაც გამლიზიანებელი მოქმედებს უშუალოდ პირის ლრუში, ფიზიოლოგების მიერ აღიარებული იყო რეფლექსად, მანძალიდან გამოწვეული გაღიზიანების (საჭმლის დანახვა, მისი სუნი და სხვა) შედეგად გამოწვეული ნერწყვის გამოყოფა, მათ მიაჩნდათ ფსიქიური, გონივრულ მოვლენად.

პავლოვს საკითხის ასეთი გადაწყვეტა ღონივადაც არ აქმაყოფილებს. მას უნდა სხვაგვარად მოიქცეს, გამონახოს თავის ტვინში მიმდინარე საიდუმლო პროცესების ასახსნელად სხვა საშუალებები. „ფსიქიური“, „გონივრული“, ეს ისეთი სიტყვებია, რომლებსაც მოვლენების ასახსნელად ვერ გამოიყენებ. „გონება, თანახმა ვარ, ლამაზი სიტყვაა, მაგრამ რა ღირებულება აქვს მას? რას უზამ მას? რაში გამოიყენებ მას?“ ეს ხომ ციხე-სიმაგრეა! გრანიტის კედელი!“

მეცნიერის წინაშე დგება დილემა: ან უნდა დაეთანხმო იმ აზრს, რომ გონება დარჩება, როგორც ვამოუცნობი „ნივთი თავის თავად“, მის შესასწავლად უნდა აღიკვეთოს ყოველი გზები, ან უნდა უარყო ეს და გამონახო გონების შესწავლის სხვა მეთოდები. პავლოვის შემარიტების მაძიებელი გენია ვერ წავიდოდა პირველი გზით, ის ვერ შეჩერდებოდა „ფაქტების ზედაპირზე“. პავლოვი ხომ მოითხოვდა მეცნიერისაგან: „არ უნდა დარჩე ფაქტების ზედაპირზე, არ უნდა გადაიქცე ფაქტების არქივარუსაბად, ეცადე ჩასწვდე მათ საიდუმლოებას, დაუინებით ეძირ კანონები, რომლებიც მათ მართავენ“. გადის დრო... პავლოვი იგონებს ათასგვარ გეგმებს, ატარებს უამრავ ექსპერიმენტს, მაგრამ მოვლენის არსის გასაღებთან მისვლა მაინც ძნელდება.—არა, აქ უნდა იყოს სხვა გამოსავალი, დაუინებით იმეორებს პავლოვი, გონება არ არის უკანასკნელი საზღვარი. ის იმაღება მატერიალურ სფეროში, ტვინში, და თვით უნდა იყოს მატერიალური.—


„გონება, გრძნობა... ხასიათი,—მოაგონდა პავლოვს პისარევის საყვარელი სიტყვები—ყველა ესენი სახითათო და გამოუყენებელი სიტყვებია, ისინი ჩრდილავენ ცოცხალ ფაქტებს და არავინ არ იცის, ნამდვილად მის ქვეშ თუ რა იმაღება“.

ასევე ოღვგა მის მეხსიერებაში ჯერ კიდევ სიჭაბუკის დროს წაკითხული სეჩენოვის ნარკვევის „თავის ტვინის რეფლექსების“ შთაბეჭდილებები:—„ინტიმური და საიდუმლო, აუხსნელი და სასწა-

ულებრივი მოვლენები თავის ახსნას პოულობს ცენტრალურ ნულ ვულ სისტემაში, თავის ტვინის რეფლექსებში".

ამ მოგონებების გავლენით პავლოვს ებადება გენიალური აზრი, რომ ფსიქიკური ნერწყვის დენა არის თავის ტვინის რეფლექსი და სხვა არაფერი. ეს მოსაზრება პავლოვმა ბრწყინვალედ დაადასტურა თავისი კლასიკური ექსპერიმენტებით. ამრიგად, პავლოვის გენიამ აღმოაჩინა, რომ „ფსიქიკური ნერწყვის დენა“ რეფლექსია და მის შესასწავლად, ისე როგორც ბუნებისმეტყველების სხვა სფეროში, შესაძლებელია ობიექტური პრინციპების გამოყენება. ამით პავლოვმა დაიცვა ფიზიოლოგიის უფლებები ცხოველთა ე. წ. „ფსიქიკური“, „სულიერი“ მოქმედების შესწავლის სფეროში. პავლოვი ხშირად იმეორებდა: „ნატურალისტისათვის ყველაფერი მეთოდშია“, და ამ აღმოჩენილი მეთოდით — პირობითი რეფლექსების მეთოდით, იწყება არსებითად ახალი მოძღვრება თავის ტვინის უმაღლესი ნაწილების მოქმედების შესახებ. ნერწყვის გამოყოფა საჭმლის დანახვაზე, სუნზე და სხვა, არის რეფლექსი, მაგრამ განსაკუთრებული კატეგორიის. ამ რეფლექსის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის კი არ წარმოადგენს თანშობილს, როგორიც არის უპირობო რეფლექსი, არამედ მისი გამომუშავება ხდება ცხოველებში და ადამიანებში ინდივიდური სიცოცხლის განმავლობაში, გამოცდილების ნიადაგზე. განსხვავებით უპირობო რეფლექსისაგან, ისინი არ არიან მუდმივი ხსიათისა და დამოკიდებული არიან მრავალ პირობაზე, ამიტომ ასეთ ტიპის რეფლექსს ძალის მიზნით მიმდინარეობს რეფლექსი. კლასიკური ცდები, რომლითაც დაიწყო პავლოვის გამოკვლევები, მდგომარეობს შეძლევები: ძალის ლოყაზე უკეთდება ფისტულა (ხვრელი), რომელშიაც სახერწყვე ჭირკვლის საღინარო ისეა გამოყვანილი, რომ ნერწყვი ხვრელიდან პირდაპირ გარეთ გამოდის. საღინაროს ირგვლივ კაზზე მიერულია პატარა ძაბრი. ძაბრიდან ნერწყვი იქრიფება პატარა გრადუირებულ შუშაში, რომელიც ძაბრზეა დაკიდებული. ამგვარ ოპერაციაქმნილ ცხოველს აყენებენ დაზგაზე, რომელიც ოდნავ ზღუდავს მის მოძრაობებს. საჭმლის ყოველ მიწოდების დროს ხდება ნერწყვის განსაზღვრული რაოდენობით გამოყოფა. (იხ. სურ. 1). ეს წარმოადგენს თანშობილ ანუ უპირობო რეფლექსს. შემდეგ, თუ გარკვეულ ბერებს ან განათებას რამდენიმეჯერ დაუკავშირებთ საჭმლის მიწოდებას, ძალისთვის საკმარისი იქნება მარტო ხმის გაგონება, ან სინათლის დანახვა (საჭმ-

ლის მიწოდების გარეშე), რომ ვარკვეული რაოდენობის ნერწყვა<sup>ბ</sup> გამოიყოს. ნერწყვის ამგვარი გამოყოფა წარმოადგენს ბრტყბითი რეფლექსს. ნერწყვის გამოყოფა ჭამის ღროს წარმოადგენს თანშობალ, უპირობო რეფლექსს, რომელიც ძალების მთელი სახეობისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ არც ერთი ძალი სინათლეზე ნერწყვს არ გამოყოფს, თუ განათება და საჭმლის მიწოდება ერთ-



სურ. 1.

დროულად მრავალგზის არ იქნა განმეორებული. მაშასადამე, პირობითი რეფლექსები შეიძინება ორგანიზმის ინდივიდური სიცოცხლის პირობებში და გამოიხატება გარემო გამლიზიანებელზე საპასუხო რეფლექსურ რეაქციებში. თუ უპირობო რეფლექსების მექანიზმები ხორციელდება ცენტრალური ნერვული სისტემის დაბალი ნაწილების საშუალებით, პირობითი რეფლექსების რეფლექსური რეალი უცილებლივ გაივლის დიდი ტვინის ჰემისფეროების ქერქში.

რა მექანიზმით ხორციელდება პირობითი რეფლექსები? ივ.








პავლოვის მიერ ექსპერიმენტულა დადასტურებულა; რომ პირობითი ორგანიზების გამომუშავებისთვის აუცილებელ ანატომიურ პირობას წარმოადგენს დიდი ტვინის ჰემისფეროების ქერქი. ძაღლს ოპერაციული გზით მოაშორეს დიდი ტვინის ყველაზე ურთულესი ნაწილი „ზედა სართული“, სახელდობრ, დიდი ჰემისფეროების ქერქი, მისი მოცილების შემდეგ, ცხოველში ყველა პირობითი ორგანიზების გაქრა და ხელახლა არაოდეს არ გამოვლინებულა. მიუხედავად მრავალგზის წარმოებული ექსპერიმენტებისა, ასეთ ოპერაციაში ძაღლში შეუძლებელი შეიქნა რაიმე პირობითი ორგანიზების გამომუშავება. ძაღლს შერჩა მხოლოდ სიარულის, ძილის და ჭამის უნარი, მაგრამ არ შეეძლო საკვების მოტაცება, ვერ სცნობდა პატრონს, ქუჩაში გაშვებული ასეთი ძაღლი დაიღუპებოდა პირველ შემხვედრი ტრანსპორტისგან. ამ ცდიდან ნათლად სჩანს, რომ ძაღლს დიდი ტვინის ქერქის მოშორების შემდეგ შერჩა მხოლოდ და მხოლოდ თანმიმდევრი ანუ უპირობო რეფლექსები: სიარული, ჭამა და სწვა, რომელიც ხორცელდება ზურგის ტვინის და თავის ტვინის დარჩენილი ნაწილების საშუალებით. ხოლო ისეთი როგორი აქტები, როგორიცაა ჩვევა, წაბაზვა და საერთოდ ის, რაც ქცევის შინაარსს შეადგენს, ცხოველმა დაპკარგა. როგორც სჩანს, დიდი ჰემისფეროების ქერქის მოშორების შემდეგ ცხოველმა დაკარგა ყველა ის დასწავლილი რეაქციები, რაც მან პირადი, ინდივიდური სიცოცხლის განმავლობაში შეიძინა, ე. ი. გარე მოსთან შეგუების პიროვნების შეადგენს, ცხოველმა დაპკარგა. როგორიც სჩანს, პირობითი რეფლექსები, რომ პირობითი რეფლექსები დაკარგა ყველა ის დასწავლილი რეაქციები, რაც მან პირადი, ინდივიდური სიცოცხლის განმავლობაში შეიძინა, ე. ი. გარე მოსთან შეგუების პიროვნების განმოყოფის უპირობო რეფლექსების დროს პირში მოხვედრილი საჭმლით გამოწვეული გაღიზიანება გემოვნების პარატებიდან გადაეცემა მოგრძო ტვინს და აქედან კი სანერტუვე ჯირკვლებს, პირობითი რეფლექსების რეფლექსური რკალი, გარდა მოგრძო ტვინისა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აუცილებლივ გაივლის დიდი ტვინის ჰემისფეროების ქერქში. მაგ. სინათლეზე ნერტუვის გამოყოფის პირობითი რეფლექსის მექანიზმი ასეთა: გაღიზიანება (განათება) იწვევს მხედველობის რეცეპტორის (თვალის ბაღურა) გაღიზიანებას, აქედან წარმოშობილი აგზნება მიღის ჰემისფეროების ქერქის შედველობის ცენტროებში, სადაც



## სურ. 2. პირობითი რეზლექსების წარმოშობის ს ქ მ ბ

- ა) გემოვნებითი გალიზიანება იწვევს მოგრძო ტექნიკის ნერწყვის გამოყოფის ცენტროს (3) და ნერწყვის გამოყოფის უმაღლეს ცენტროს (2) აგზებას. აქედან აგზება გადადის პერიფერიისაკენ მიმავალი გზით სანერწყვე ჭირკვლებამდე (სურათზე აღნიშნულია ვარსკვლავით).
- ბ) გემოვნებითი გალიზიანებასთან ერთდროულად მხედველობითი გალიზიანება იწვევს დიდი პემისფეროების ქერქის მხედველობის ცენტროების (1) აგზებას.
- გ) აგზების ორ კერას ე. ი. ნერწყვის გამოყოფის უმაღლეს ცენტროს და მხედველობის ცენტროს შორის ვითარდება დროებითი კავშირი (ნაჩვენებია წერტილებით (1) და (2) შორის). ეხლა კი საქმარისია მხოლოდ მხედველობითი გალიზიანება, რომ წარმოიშვას ნერწყვის გამოყოფის ცენტროს აგზება.





წარმოიშობა აგზნების კერა. თუ განათებასთან კავშირის ულებელი ცხოველს ვაწვდით საკვებს, შეიქმნება ნერწყვის გამოყოფის უმაღლეს ცენტროში აგზნების მეორე კერა; აგზნების ამ ორ კერას შორის თანდათანობით გაიკავება ფრინილოგიური გზები, ე. ი. მყარ-ლება „დროებითი კავშირები“. სწორედ ეს „დროებითი კავშირები“ უზრუნველყოფს მხედველობის ქერქული ცენტროდან აგზნების გაღასვლას ნერწყვის გამოყოფის ცენტროსაკენ (იხ. სურ. 2). ამრიგად, გაღიზიანება მხედველობის რეცეპტორიდან მიღის ჰემისფეროს ქერქის მხედველობის ცენტროში, აქედან დროებითი კავშირის საშუალებით ნერწყვის გამოყოფის ცენტრომდე, ხოლო ამ უკანასკნელით — ხდება ნერწყვის გძოყოფა. აღსანიშნავია, რომ ეს ფუნქციონალური კავშირები ცხოველს დაბადებისას არ დაყვება მზა სახით, ის მყარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე ამ ცენტროს ერთდროული აგზნება სულ მცირედ, ერთხელ მაინც მოხდა. სწორედ ამიტომაა, რომ პირობითი რეფლექსი გამომუშავდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირობითი გაღიზიანება მრავალგზის იქნა თანხვდენილი უპირობო გაღიზიანებსთან (მაგ. საკვებთან). როგორც ჩანს, პირობითი რეფლექსი მაღალი ტიპის რეფლექსია, რომელსაც საფუძვლად უდევს დიდი ტვინის ჰემისფეროების ქერქულ ცენტროებს შორის ფრინილოგიური კავშირების განვითარება. ამ დენად პირობითი რეფლექს ებით ავის ტვინის ჰემისფეროების ქერქის ძირითადი უცნეციების გამო ვლინების ფორმას წარმოადგენს; ეს ისეთი რეფლექსია, რომელიც ინტიმურად დაკავშირებულია ფსიქიკურ პროცესებთან. „თუ ნერწყვი გამოიყოფა საკვების დანახვაზე, სუნჩე და მასზე წარმოდგენითაც კი, ვინ შეეჭვდება იმაში, რომ ამ შემთხვევებში ნერწყვის რეფლექსის ფრინილოგიურ ფუნქციას უშეალოდ თან სდევს ესა თუ ის ფსიქიური მდგომარეობა“ (ი. ბირიუკოვი). პირობითი რეფლექსების საყურადღებო თვისებას წარმოადგენს მისი ოროებითი, არა მყარი ხსიათი. თუ ცხოველი ყოველთვის ღიბულობს საკვებს, რომელიმე პირობითი გაღიზიანებაზე, ეს უკანასკნელი ყოველთვის დარჩება-კვების სიგნალად, მაგრამ თუ ისე შეიცვალა გარემოება, რომ ცხოველს შეუწყდა ამ გაღიზიანებაზე საჭმლის მიღება, ცხოველი პირველ ხანებში „შედება“, გამოიზიანებელზე უპასუხებს კვების გარკვეული რეაქციით, ხოლო შემდეგში პირობითი რეფლექსური მოქმედება თანდათანობით მცირდება და ბოლოს კი

ქრება. პირობითი ოცნებების ჩაქრობას აქვს უდიდესი ბიოლოგიური მნიშვნელობა ცხოველთა გარემო არესთან შეგუების პრიცესში. დიდი ჰემისფეროების ძერები ინახავს საჭირო კავშირებს გარემოსთან, ხოლო როდესაც კი გარემო შეიცვლება, ის სწყვეტს ძველს და ამყარებს ახალ ფუნქციონალურ კავშირებს შეცვლილ გარემო პირობებით შესაბამისად. ეს კი უზრუნველყოფს ცხოველის შეგუების აქტების ამოუწურავ შესაძლებლობას მუდმივ ცვალებად გარემო პირობებთან. ცენტრალური ხერვული სისტემის გარემო პირობებთან შეგუების ეს შესაბიშნავი უნარი, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა, საფუძველია ცხოველთა სამყაროს სახეობითი ევოლუციის, მითომ აუცილებელია პავლოვის მოძღვრება განვიხილოთ დარვინიზმთან კავშირში. დარვინმა მოგვცა ევოლუციის და შეგუების მატერიალისტური ოცნრია, ხოლო დარვინისათვის უცნობი დარჩა ის ნერვული მექანიზმები, რომლებიც განაგებენ შეგვების ამა თუ იმ აქტს; ამ მექანიზმების აღმოჩენა, ე. ი. დარვინის ოცნრიაში კონკრეტული ფიზიოლოგიური შინაარსის ჩადება, ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ პავლოვის გენის. ამდენათ პავლოვის მოძღვრება წარმოადგენს დარვინიზმის პრინციპების განვითარებას ფიზიოლოგიაში.

\* \* \*

პირობითი ოცნებების გამომუშავება და ჩაქრობა დაკავშირებულია დიდი ტვინის ჰემისფეროების ქერქში მიღინარე ორ ურთიერთ დაკავშირებულ, ანტაგონისტურ პროცესზე—აგზნებასა და შეკავებაზე. ამ პროცესების ნიადაგზე პავლოვმა გამოიკვლია და ასენა ისეთი ოთული მოვლენების ფიზიოლოგიური საფუძვლები, როგორიცაა ძილი და ჰიპნოზი. თავის ხანგრძლივი გამოკვლევების შედეგად (დიდი ტვინის ნორმალური და ავადმყოფური მოქმედების შესწავლის საფუძველზე) პავლოვი მიღის იმ დასკრინდე, რომ ძილი არის დიდი ტვინის ქერქის და უახლოესი ქერქქვეშა კვანძების უჯრედების შეკავება, ჰიპნოზი—ეს არის ნაწილობრივი ძილი, ე. ი. თავის ტვინის ცალკეული წილების შეკავება. ძილისა და ჰიპნოზის ამ ფიზიოლოგიური საფუძვლების გამონახვა დიდ მიღწევას წარმოადგენს საერთოდ ბიოლოგიისათვის და კერძოდ პრატიკულ მედიცინისათვის. იგ. პავლოვის ლაბორატორიაში სხვადასხვა ცხოველებზე წარმოებული უამრავი ცდების შედეგად თანდათანთვით ნათელი შეიქნა ერთი გარემოება, სახელმობრ, დიდი შემსჭრილი

როების ქერქში წარმოებული ორი ძირითადი პროცესში—აგზნებისა და შეკავების შეფარდება, ძალა და ძრიღობა სხვადასხვა ცხოველში შეიძლება სხვადასხვა იყოს. ასე ჩაეყარა საფუძველი პავლოვის მოძღვრებას ტემპერამენტზე ანუ უძალლესი ნერვული მოქმედების ტიპებზე. დადგენილ იქნა ორი უკიდურესი ტიპი—ძლიერი და სუსტი. ამ ორ უკიდურეს ტიპს შორის იმყოფება მთელი რიგი გარდამავალი ტიპები. იცვლება თუ არა სუსტი ტიპების ნორმალური ფუნქცია როდესაც ისინი მძიმე სასიცოცხლო პირობებში მოხვდებიან? თითქოს პავლოვს ბუნებაშ საგანგებოთ მოუწყო სტიქიური „ექსპერიმენტი“. 1924 წ. შემოღომაზე ლენინგრადში იწყება უდიდესი წყალდიდობა. წყალდიდობის დროს პავლოვის ლაბორატორიის ვივარიუმში დახრიბისაგან იხსნეს მრავალი საექსპერიმენტო ძალლი. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ძალლებს ამ საზარელი სცენის გადატანის შემდეგ, მანამდე გამომუშავებული ყველა პირობით რეფლექსი გაუქრაოთ, შეუწყდათ ნერწყვის გამოყოფა პირობით გამოიზიანებელზე, დაერღვათ გარემოს მიმართ ჩევული რეაქციები და სხვა. თავიდანვე ლაბორატორიის თანამშრომლების ყურადღება შიიცყრო ერთმა ძალლმა, რომელიც, მიუხედავად გარეგნულად სრულიად საღი შეხედულებისა, განსაკუთრებით „შეკავებულ“ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ძალლი საკვები პიროდუქტების მიმართ გახდა სრულიად განურჩეველი, შესწყვიტა ჭამა, ხოლო ძლიერი ინტენსიონის ბგერით გაღიზიანება იწვევდა გაშეშებას.

დღი ხანს ჩენ ვერ მივხვდით—იმბობს პავლოვი—თუ რაზი იყო საქმე, ბოლოს მოგვივიდა აზრი, რომ უნდა გრძელდებოდეს ის ძლიერი ეფექტი, რომელიც წყალდიდობასთან იყო დაკავშირებული. გადის წყალდიდობიდან ორი თვე, ძალლი უკვე უბრუნდება ნორმალურ მდგომარეობას. ამრიგად ძალლმა გადაიტანა „რეაქციული ნევროზი“. პავლოვმა თავის მოწიფეებთან ერთად სცადა წყალდიდობის ცალკეულ კომპონენტების გავლენაზე დაკვირვება. ძალლის ოთახში, კარების ქვეშ გაშვებული წყლის შადრევანის დანახვაზე ცხოველი სწრაფად გაშმაგდა, ღმუოდა და შიშისაგან თრთოდა. ეს ძალლი იყო სუსტი ნერვული ტიპისა, რომელმაც მძიმე სასიცოცხლო პირობებში დაპკარება ნორმალური მოქმედების უნარი, და ყველაზე მეტად „გახიცადა“ წყალდიდობის საზარელი სურათი. ამგარ მოვლენებში პავლოვმა ნახა ძალლის ნევროზული მდგომარეობის ნიშნები, რამაც დაუბადა აზრი, ხომ არ არის შესაძლებელი ექსპერიმენტულად იყოს ძალლზე მიღებული ნევროზული მდგომა-



რეობა? და აი პავლოვის გენია სწერს პირობითი რეფლექსების ისტორიაში ახალ მიზანდველ თავს „ძოძღვრება ექსპერიმენტულ ნევროზებზე“.

უწინარეს ყოვლისა, პავლოვი დაინტერესდა, თუ რა პირობებზე დამოკიდებული ნერვული მოქმედების ესა თუ ის ტიპი, რაა დამოკიდებული ცხოველის ინდივიდური განვითარების პირობებზე და რაა დაკავშირებული მემკვიდრეობითი ფაქტორების გავლენას-თან.

„პირობითი რეფლექსების დედაქალაქში“ კოლტუშში (ლენინგრადთან ახლოს) ამ მიზნით ჩატარებული იყო სპეციალური ცდები. ოღონჩნდა, რომ უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპები შესაძლებელია მიღებულ იქნას ექსპერიმენტულად, დამოუკიდებლად მათი შესკვიდრეობითი მონაცემებისა. ასე, მაგალითად, ნერვული მოქმედების სუსტი ტიპი მიღებულ იყო ექსპერიმენტულად საამისოდ საგანგებო პირობებში ჩაყენებით. ცდებით დადასტურდა, რომ სათანადო აღზრდის, გაწრთვის გზით, შესაძლებელია მნიშვნელოვნად გამოვასწოროთ და გავამაგროთ ასეთი ცხოველების უმაღლესი ნერვული მოქმედება. პირობითი რეფლექსების მემკვიდრეობის საკითხზე პავლოვის ლაბორატორიაში წარმოებული იყო სპეციალური ცდები მოშინაურებულ თეორ თაგვებზე.

ცდები ითვალისწინებდა პირობითი რეფლექსების გამომუშავების სისწრაფეს თავების რამდენიმე თაობაში; ოღონჩნდა, რომ პირობითი რეფლექსების გამომუშავების სისწრაფე მათში მატულობდა თაობიდან თაობამდე, რაც ადასტურებს ამ უნარის მემკვიდრეობით განმტკიცებას. ამ საკითხზე პავლოვის ამერიკაში გამოსვლას კატეგორიული წინააღმდეგობით შეხვდა ფორმალური გენეტიკის ლიდერი პროფ. მორგანი. ეს შემთხვევითი მოვლენა როდი იყო, ზემოაღნიშნული ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ცხადა ედებოდა ვეისმან—მენდელ—მორგანის კონცეფციის ანტი-მეცნიერული მეტაფიზიკური ხასიათი.

\* \* \*

ივ. პავლოვმა თავისი პირობითი რეფლექსების მწყობრი, ექსპერიმენტულად დასაბუთებული თეორიით, პირველმა მსოფლიო ფიზიოლოგიურ მეცნიერებაში, უმაღლესი ნერვული მოქმედების შესწავლა დაუახლოვა ექსპერიმენტატორის, ფიზიოლოგის მაგიდას.



შპნ აღმოაჩინა ფსიქიური მოქმედების ფიზიოლოგიური შექანიზმები: „ფსიქიური მოქმედება არის თავის ტვინის განსაზღვრული მასის ფიზიოლოგიური მოქმედების შედეგი“ (И. П. Павлов — „Условные рефлексы.“ Большая медицин. энциклопедия, ч. 33, гл. 431).

ზოგს საქმის ვითარება ისე წარმოუდგენია, თითქოს პავლოვმა როგორ ფსიქიური პროცესები იდამიანის ცნობიერების ჩათვლით, დაიყვანა უძალეს ნერვულ მოქმედების, იმ უბრალო ფორმის, პრობით რეფლექსებამდე, რომლებიც მრიღება ძალებზე ექსპერიმენტის დროს; სიხამდვილეში კი პავლოვი ყოველთვის აფრთხილებდა ამ მხრივ თავის მოწაფეებს და საკითხის ასეთი გაუბრალოების სასტიკი წინააღმდეგი იყო. ის სრულებით არ ფიქრობდა ძალის თავის ტვინზე მიღებული ფიზიოლოგიური მონაცემების უშუალოდ, რექსიურ გადატანას უფრო რთულ, მოაზროვნე ტვინსა და სოციალურ არსებაზე — ადამიანზე. დამახასიათებელია ის გარემოება, თუ როგორი აღშფოთებით იგონებდა პავლოვი მისი მუშაობის შესახებ ამერიკაში დემონსტრირებულ ფილმს — „გონების მექანიკის“ სახელწოდებით; „მე მაშინ ძალზე გავტრაზდი. ასეთი იღიოტური სახელწოდება, რომელთანაც მე არასოდეს არაფერი საერთო არ მქონია!“.

ვ. პავლოვი, ისე, როგორც ბუნების მეორე ღიღი გარდა მექნელი მიჩრინი, მეცნიერების დანიშნულებას ხალხის სამსახურში, მისი პარაქტიკული ამოცანებას გადაჭრაში ხედავდა. თავის სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში პავლოვი სპეციალურად დაინტერესდა ნერვულ და ფსიქიურ ავაღმყოფებზე დაკვირვებით, რათა შეესწავლა ის მექანიზმები, პათოლოგიური პროცესები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ დაავადებებს. მაგრამ რა გზით შეიძლება ლაბორატორიის დაახლოება კლინიკასთან, როგორ მიუღეთ ამ თვისობრივად ახალ ობიექტს „იარაღის მკეთრებელ ცხოველს“ — მისი ნორმისა და პათოლოგიის შესწავლის დროს? და ია პავლოვი ხაზეც ათვის ახალ, ე.წ. „მეორე სიგნალური სისტემის“ მოძღვრების კონტურებს. მეორე სიგნალური სისტემის განვითარება დაკავშირებულია იმ ბიოლოგიურ წინამდღვრებთან და საზოგადოებრივ ყოფიერებასთან, რომლებმაც უზრუნველყო გააღამიანების პროცესები „ჯერ შრომა, ხოლო შემდეგ და მასთან ერთად ენა — აი ის ორი უმოავრესი სტიმული, რომელთა ზეგავლენით მაიმუნის ტვინი თანდათანობით ადამიანის ტვინად იქცა, რომელიც, მიუხედავად მაიმუ-



ნის ტვირთან მთელი მსგავსებისა, ბევრად აღემატება შეს წილით და სრულქმნალებით“ (ფრ. ენგელი „შრომის როლი მაიმუნის გალაპანების პროცესში“, 1945 წ. გვ. 9—10).

პირობითი რეფლექსებით ცხოველი უშუალოთ აღიქვამს გარეგან სამყაროს გრძნობათა ორგანოების (თვალი, ყური, ცხვირი და სხვა) საშუალებით. იმ რეფლექსურ აქტებს, რომლებიც მიიღება ამგვარი გალიზიანების გზით, პავლოვმა უწოდა „პირველი სიგნალური სისტემა“. ეს სიგნალური სისტემა შედარებით მარტივია და საერთოა, როგორც ადამიანთა, ისე ცხოველთათვის. ხოლო მეორე სიგნალური სისტემა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის კუთვნილებას შეაღენს, ის დაკავშირებულია მეტყველების განვითარებასთან და წარმოადგენს სიტყვიერ სიგნალების სისტემას. მეორე სიგნალური სისტემით შემოდის ნერვული მოქმედების ახალი პრინციპი—განზოგადოება, ცნებები, სიმბოლოები და სხვა, რომლებიც ბიოლოგიურათ დაკავშირებულია დიდი ჰემისფეროების ქერქის „სპეციფიკური ადამიანური“ წილების, განსაკუთრებით შუბლის წილის განვითარებასთან. მეორე სიგნალური სისტემა მოწყობილია განუზომლად უფრო რთულად, ვიღრე პირველი, მაგრამ აქაც შესაძლებელია იმ ობიექტური, ფიზიოლოგიური კანონზომიერების გათვალისწინება, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ პროცესებს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ ზოგს პგრნია თითქოს ჸავლოვი წინააღმდეგი იყო ფსიქიკური, ცნობიერი მოვლენების შესწავლისა, და ამდენად ის უარყოფდა ფსიქოლოგიის მეცნიერულ მნიშვნელობას, რაც არ შეეფერება სინამდვილეს.

ცნობილია, რომ პავლოვი წინააღმდეგი იყო და სრულიად სამართლიანად, იმ გარემოებისა, თითქოს შესაძლებელია ფსიქიკური გამოვიყენოთ, როგორც ამსსნელი პრინციპი, მაგრამ ის სრულიად არ ჭარბოფდა ფსიქიკურს, ცნობიერს, როგორც ახსნისა და კვლევის ამიერებს.

ივ. პავლოვი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის და მეცნიერული მოღვაწეობის ყოველ ეტაპზე გამოდის, როგორც თანმიმდევარი მებრძოლი მატერიალისტი. ემპირიული ფაქტების ღრმა ანალიზის და მისი კანონზომიერების აღმოჩენის, საფუძველზე პავლოვი არა ერთხელ მიდის ფაქტების დიალექტიკურ განზოგადოებამდე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან „საგანთა დიალექტიკა, ქმნის იდეათა დია-

ლექტირებას...“ (ლენინი). იგ. პავლოვის მოძღვრება უმაღლესი ხერ-  
ვული მოქმედების შესახებ წარმოადგენს მარქსისტული ფილისო  
ფიური მატერიალიზმის საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ სა-  
ფუძლის ერთერთ დასაბუთებას.

პავლოვმა თავისი მოძღვრებით დაადასტურა დიალექტიკური  
მატერიალიზმის ერთი ძირითადი დებულება, რომ „აზროვნება  
არის პროცესი მატერიისა, რომელმაც თავის განვითარებაში მია-  
ღწია სრულყოფის მაღალ ხარისხს, სახელდობრ—ეს არის ტვინის  
პროცესი, ხოლო ტვინი აზროვნების ორგანო...“ („საკ. კპ(ბ)  
ისტორია, მოკლე კურსი“ გვ. 135, 1938 წ.).

პავლოვის მიერ შექმნილ მეცნიერების ახალ დარგს პრონა  
არსებითი მნიშვნელობა ბუნებისმეტყველებისათვის, რადგან მან  
ამით საბოლოოდ გააძევა მისტიკურ თავის უკანასკნელ თავშესა-  
ფარიდან.

ცხადისას მატერიალისტური გაგება პავლოვის მიერ შექსებულ  
იქნა კონკრეტული შინაარსით („ფიზიოლოგიური მიმანიშები და  
მორფო-ფიზიოლოგიური კორელაციები“), როთაკ მტკიცე საფუძვე-  
ლი ჩაეყარა მატერიალისტურ ფსიქოლოგიის განვითარებას.

უმაღლესი ნერვული მოქმედება არის თხილიკური მოგლენების  
მატერიალური საფუძველი, რომლითაც აიხსნება ფსიქიკური მოვ-  
ლენების მექანიზმები, ხოლო რაკ შეეხება აღამიანურ აზროვნების  
შინაარსს, ის წარმოადგენს აღამიანის ტვინში ბუნების და საზოგა-  
ლოებრივი ყოფიერების ასახვას.

იგ. პავლოვის მოძღვრების მოკლე ანალიზიც კი ნათლად მეტ-  
ყველებს, რომ პირობითი რეფლექსების თეორიას აქვს არა მარტო  
საბუნებისმეტყველო-მეცნიერული, არამედ უდიდესი მსოფლმხედ-  
ველობითი მნიშვნელობაც. ამიტომ სრულიად არაა შემთხვევითი  
პავლოვის მოძღვრებაზე ის თავისებები, რომლებსაც აწარმოებენ  
ბურუუაზიული ბუნებისმეტყველები, განსაკუთრებით კი ინგლი-  
სელ-ამერიკელი ფიზიოლოგები პოლიტიკურ რეაქციის უფრო და  
უფრო გაძლიერების პირობებში.

იდეალისტები ყოველთვის ებრძოდნენ იმ შეხედულებას, რომ  
ცნობიერება არის მატერიის—ტვინის პროცესი; და აი ცნობილი  
ინგლისელი ფიზიოლოგი და ამავე დროს დიდი რეაქციონერი ფი-  
ლოსოფიაში ჩ. შერინგტონი, გერ კიდევ 1934 წ. თავის საჯარო  
ლექციაში პირდაპირ აცხადებდა, რომ ჩვენ გონებას „არა აქვს არა-

ვითარი დამოკიდებულება ტვინის მოქმედებასთან „იგივე მეცნიერი პავლოვის მისამართით ამბობდა: „პირობითი ჩეფლექსები ვერ ჰქოვებენ თავის გავრცელებას ინგლისში, რაღაც მას მატერიალიზმის სუნი უდისო“. შერინგტონი სრულიად არ შემცირა მასში, რომ პირობითი ჩეფლექსების თეორია მატერიალისტურია, მაგრამ წინააღმდეგ მისი წინასწარმეტყველებისა, პავლოვის მოძღვრებამ გავრცელება ჰქონა მოწინავე, პროგრესულ ბუნებისმეტყველია ში ყველგან და კერძოდ ინგლისში. ცნობილი ამერიკელი ფიზიოლოგი ფულტონი ამბობს, რომ პავლოვის პირობითი ჩეფლექსების თეორიას აქვს მხოლოდ, „ისტორიული მნიშვნელობა“, თითქოს ის „მოძველდა“ და სხვა.

ჩეჭერიული მეცნიერების უარყოფითი დამოკიდებულება იყ. პავლოვის მოძღვრების მიმართ გასავებიცაა კაპიტალიზმის საკუველთაო კრიზისის პირობებში. იმპერიალისტური ბურჯუაზია სიკვდილ-მისამის სასოწარკვეთილებით ცდილობს თავისი პარაზიტული კლასის ბატონობის შესანარჩუნებლად, გამოიყენოს ხალხთა შეგნებაზე იდეოლოგიური ზემოქმედების ყოველგვარი საშუალება. იმპერიალიზმის ჩეაქტიული ძალები, იბრძვიან ყოველი მოწინავე და დემოკრატიული იდეის წინააღმდეგ, ისინი შიშით შეპყურებენ მეცნიერებას და სინამდვილეს, რომლებიც მომავალში მათ ჰპირდება მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილს და განადგურებას. ამ ბრძოლაში იმპერიალიზმის ჩეაქტიული ძალები იყენებენ თანამედროვე ბურჯუაზიულ ბუნებისმეტყველებასაც, რომლის დიპლომანი მსახურნი მეცნიერების ნაცვლად ქადაგებენ ყოველგვარ ჯურის იდეალიზმს, მისტიციზმს და თეოლოგიას. მათ იდეოლოგიურ პროდუქციაში ნათლად მოსჩანს ბურჯუაზიული მეცნიერების და კულტურის მარაზმი, მომაკვდავი კაპიტალისტური საზოგადოების სულიერი სიღატაკე.

\* \* \*

პავლოვის მეცნიერული შემოქმედების სრული გაფურჩქვნა იწყება საბჭოთა ხელისუფლების პერიოდიდან.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მუდმივი მზრუნველობით, ის უზრუნველყოფილი იყო ყველაფრით, როგორც სამეცნიერო მუშაობის, ისე პირადი ცხოვრების მხრივ.

ჯერ კიდევ 1921 წლის 24 იანვარს გამოდის სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილება ლენინის ხელის მოწერით.

დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნულია ივ. პავლოვის მეცნიერული დამსახურების უდიდესი მნიშვნელობა მთელი ქვეყნში მშრომელების წინაშე და მისი სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისათვის მაქსიმალური ხელშემწყობა პირობების შექმნა. პავლოვზე ასეთი მნიშვნელობა ძალაუნებურად გვაგონებს ცნობილი ფრანგი მეცნიერის ლუი პასტერის საცოდავ ბედს. დადამბლებულ ფრანგ მეცნიერს არ აღმოაჩნდა სახსრები, რომ მუდმივ განკარგულებაში ჰყოლოდა ეტლი. განათლების მინისტრი პასტერის თხოვნაზე—მიეცათ მისთვის ერთნახევარი ათასი ფრანგი—ძალზე გაკვირდა.

— სამინისტროს ბიუჯეტში—უხსნის ის მეცნიერს—არ არის გათვალისწინებული არც ერთი ნაწილი, რომელიც ნების გვაძლევდეს ასეთი თანხის გასაცემად.

ასეთია საერთოდ ჭეშმარიტი მეცნიერის ბედი კაპიტალიზმის პირობებში.

„ჩემი მეცნიერება აყვავდება შშობლიურ ნიადაგზე“—აღტაცებით ამბობდა პავლოვი. მართლაც პავლოვის წინასწარმეტაყველება გამართლდა. თანამედროვე საბჭოთა ფიზიოლოგია ანვითარებს და აღმავებს პავლოვის მეცნიერულ მემკვიდრეობას.

ისეთი დიდი ფიზიოლოგიური სკოლები, როგორიცაა ორბელის, ბერიტაშვილის, ბიურვის, როჩენჯოვის და სხვ. თავიანთი ნაყოფიერი და ნოვატორული შემოქმედებით ქმნიან ახალ მიმართულებებს მსოფლიო ფიზიოლოგიურ მეცნიერებაში. ამით ისინი ანვითარებენ დიდი რუსი ფიზიოლოგების სახელოვან ტრადიციებს.

არ არსებობს მედიცინის თითქმის არც ერთი დარგი, სადაც პავლოვის მოძღვრებას თვალისი ახალი სიტყვა არ ეთქვას, არა ერთ და ორ, საიდუმლოებით მოცულ მოვლენას მიეკავ ამ მოძღვრების საფუძველზე მეცნიერული ახსნა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია პავლოვის იდეების შთამაგონებელი როლი ნეკროლოგიურ და ფსიქიატრიულ მეცნიერებათა მიმართ. მთელ რიგ შემოხვევებში, ფსიქო-ნერვული დავადებების პათოლოგიური მექანიზმების აღმოჩენას და სათანადო რაცონალური სამურნალო საშუალებების გამოყენებას უსათუოდ უნდა ვუმაღლოდეთ პავლოვის გენიას.

\* \* \*

ივ. პავლოვი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ მგზნებარე პატრიოტიც. „რასაც ვაკეთებ, გამუდმებით იმას ვფიქრობ, რომ ამით ჩემი ძალოვნის შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, საყვარელ

სამშობლოს  
უკანასკნელი ხანებში

სამშობლოს ვერსახურები". თავის სიცოცხლის უკანასკნელი ხანებში 66 წლის პავლოვი იმპობს: „რატომ არის, რომ ასე მწყურია დიდ-ხანის სიცოცხლე... სამშობლოს ბედი ძლიერ მაღლვებს. ეხლა ჩემს სამშობლოში გრანდიოზული სოციალური გარდაქმნა ხდება. მოისპონ შემაძრწუნებელი უფსკრული, რომელიც არსებობდა მდიდრებსა და ღარიბებს შორის და მეც მინდა ვიცოცხლო მანამდე, ვიდრე არ ვიხილავ ამ სოციალური გარდაქმნის საბოლოო შედეგებს“.

ბოლშევიცური პარტიისა და მთავრობის მადლიერი პავლოვი ამბობდა: „საბჭოთა ხელისუფლება ერთად ერთი ხელისუფლებაა მსოფლიოში, რომელიც ასე აფასებს მეცნიერებას და მხურვალედ იცავს მას“. ივ. პავლოვმა მთელი თავისი ხანგრძლივი, შემოქმედებითი სიცოცხლე გაატარა ლაბორატორიის კედლებში, წიგნებსა და საექსპერიმენტო ხელსაწყოებს შორის—მისი უდიდესი სიხარული იყო მხოლოდ ჭეშმარიტების მიღწევა და სამშობლოს სამსახური.

მეცნიერული ძიების ჩაუქრობელი ცეცხლით იწოდა დიდი რუსი მეცნიერი დაწყებული სიჭაბუკიდან, ვიდრე სასიკვდილო სარეცე-ლამდე.

ივ. პავლოვის გენიამ რუსული ფიზიოლოგიის ავტორიტეტი ბე-წია მანამდე არ არსებულ სიმაღლემდე. პავლოვის მოძღვრება არის ის მეცნიერული ჩირალდანი, რომელიც გზას უნათებს არა მარტო საბჭოთა, არამედ მთელი მსოფლიოს პროგრესულ მეცნიერებას. პავ-ლოვის ამ დამსახურებას დიდი სტალინი ბრწყინვალე შეფეხი ასე ბას ადას ადლეგს—იგი რუსი ერთს ხაუდგა თესო და სამაგი წარმომადგენენტო გალერი გარი იაში შეკვეცხ. პავლოვის სახელი ყოველთვის დარჩება; როგორც მატერიალისტური მეცნიერების ხიდითი ხიმოლო.





ბ  
ე  
ბ

ჩედაქტორი პროფ. პ. ქაგთარაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.IX.49

ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 1,6

საალრიცხვო ფორმათა რაოდენობა 1,4

შეკვეთა № 1152

ტირაჟი 5000

ფ. 04311

საქმედგამის I სტაშბა. თბილისი, აკ. ჭერეთლის ქ. 3|5.

7060 1 006.



ბ/ბ

С. Е. АБШИЛАВА  
УЧЕНИЕ И. П. ПАВЛОВА  
(На грузинском яз.)

ГРУЗМЕДГИЗ  
ТБИЛИСИ  
1949